# 50 ოქრო, 27 ვერცხლი, 22 ბრინჯაო — ასეთია საბჭოთა ოლიმპიური რაზმის ნადავლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

München -72

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 182 (4692)

1972 წ. 13 სექტემბერი, ოთხშაბათი. ფასი 6 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# ოლიმპიადის გამოსათხოვარი მარში

მიუნხენი, 11 სექტემბერი. XX საზაფხულო ოლიმპიადა სპორტის ისტორიას ჩაბარდა. დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქში მან თავი მოუყარა 122 სახელმწიფოს 10 ათასზე მეტ სპორტსმენს, რომლებმაც აქამდე არნახული ბრძოლა გააჩაღეს ოლიმპიური თამაშების ყველა, 21 სახეობაში. ეს იყო სპორტისა და ახალგაზრდობის ჭეშმარიტად გრანდიოზული ფორუმი.

თავიანთ რიგით მეექვსე საზაფხულო ოლიმპიადაში საბჭოთა სპორტსმენები არნახული წარმატებით გამოვიდნენ. 50 ოქროს, 27 ვერცხლისა და 22 ბრინჯაოს მედალი — ასეთია მათი უხვი მოსავალი. სსრ კავშირის წარმომადგენლებმა ოქროს მედლების განსაკუთრებით მდიდარი ნადავლი დაისაკუთრეს, ამერიკელებზე 17 ოქროთი მეტი. საბჭოთა გუნდები პირველნი იყვნენ ოლიმპიური პროგრამის ათ სახეობაში. სსრ კავშირის ნაკრების ნახევარზე მეტი — 209 მოასპარეზე შინ ოლიმპიური ჯილდოებით ბრუნდება. ყოველი ამ მედლის უკან იმალება ვეებერთელა შრომა როგორც თვით სპორტსმენისა, ისე ბევრი სხვა ადამიანისა, რომელთაც იგი ტრიუმფის გზაზე გაიყვანეს.







ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლებმა არა მარტო მაღალი ოსტატობითა და გამარჯვებისკენ შეუნელებელი ლტოლვით მოხიბლეს მრავალრიცხოვანი მაყურებელი, არამედ ჭეშმარიტად სპორტული, პატიოსანი, ვაჟკაცური ხასიათითაც.

მიუნხენელთა უსაზღვრო სიმპათია და სიყვარული დაიმსახურა ნორჩმა ტანმოვარჯიშემ ოლია კორბუტმა, რომელმაც ყველა მოაჯადოვა ფენომენალური ოსტატობით. ახლა ვალერი ბორზოვი ციდეთ! მან დაამტკიცა, რომ საქვეყნოდ სახელგანთქმული ამერიკელი სპრინტერების დამარცხებაც ყოფილა შესაძლებელი. და ყოველივე ამის შემდეგ, როგორც ხაზგასმით აღნიშნავენ გერმანელი და სხვა ქვეყნების ჟურნალისტები, ვალერი მორიდებული, მოკრძალებული სიმპათიურ ჭაბუკად დარჩა და ოქროს ბრწყინვალებამ თავბრუ არ დაახვია.

ასევე გააოცეს სპორტული სამყარო საბჭოთა კალათბურთელებმა, ტანდემით მოასპარეზე სპრინტერებმა იგორ ცელოვალნიკოვმა და ვლადიმერ სემენეცმა, არაჩვეულებრივად ნიჭიერმა ძიუდოისტმა შოთა ჩოჩიშვილმა, დაუღალავმა მძლეოსანმა ლიუდმილა ბრაგინამ...

არც ერთ ოლიმპიადაში არ ყოფილა ისეთი მძაფრი ბრძოლა, როგორიც XX თამაშების სარბიელზე გაჩაღდა. ამ ბრძოლის დაძაბულობას ბევრმა ფავორიტმაც კი ვერ გაუძლო. გამარჯვებისთვის საჭირო იყო გაგეკეთებინა ყოველივე ის, რაც შეგიძლია და უფრო მეტიც.

უკანასკნელი ოლიმპიური ჯილდოები მთავარ სტადიონზე დღისით გაითამაშეს ცხენოსნებმა — ჩატარდა პირველობა წინაღობათა გადალახვაში. გაიმარჯვა გფრ-ის გუნდმა. აქ მოსულ მაყურებელს მერე იმდენი ხალხი დაემატა, რომ სტადიონის ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა: მიუნხენელები და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები XX ოლიმპიურ თამაშებთან გამოსამშვიდობებლად მოვიდნენ.

... სტადიონზე შემოგრიალდა უზარმაზარი ეტლი, რომელშიც ლამაზ ბავარიულ ტანსაცმელში გამოწყობილი მუსიკოსები და მოცეკვავეები სხედან. მერე მოდიან მედროშეები და ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების სპორტსმენთა დელეგაციები. სხვადასხვა კონტინენტის ჭაბუკები და ქალიშვილები მეგობრულად, მხიარულად მოაბიჯებენ. ეს მართლაც დიდებული სანახაობაა!

ანძებზე ნელა მიიწევს საბერძნეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქვეყნის — კანადის დროშები. გფრ-ის პრეზიდენტს, ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტსა და მასპინძელი ქვეყნის ხალხს მადლობის სიტყვებით მიმართავს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი ე. ბრენდეჯი. ეს მისი უკანასკნელი ოფიციალური სიტყვაა ოლიმპიურ სარბიელზე და ამ 85 წლის ენერგიულ მოხუცს მთელი სტადიონი მქუხარე ტაშით აცილებს. ვეებერთელა ელექტრონულ ტაბლოზე იწერება სიტყვები: „მადლობა ევერი ბრენდეჯს".

ხუთჯერ დაიქუხა ქვემეხების სალუტმა და ოლიმპიური ალამი დაბლა დაეშვა. თანდათან ქრება ოლიმპიური ცეცხლი, რომელიც 17 დღეს ენთო თამაშების მთავარ სარბიელზე. სიბნელეში ვეებერთელა ციცინათელებივით აკიაფდა ასობით ჩირაღდანი და მათს ზღაპრულ შუქზე სპორტსმენები, მუსიკოსები და მოცეკვავეები ისევ უვლიან გარს სტადიონის მწვანე მინდორს.

ელექტროტაბლოზე, რომელზეც მძლეოსანთა ასპარეზობის დღეებში ბევრი ახალი რეკორდი დაიწერა, აინთო სიტყვა „მონრეალი". ეს არის სახელწოდება ქალაქისა, სადაც 1976 წლის XXI საზაფხულო ოლიმპიური თამაშები გაიმართება. მიუნხენმა ესტაფეტა კანადის ამ ქალაქს გადასცა. არავის ეჭვება, რომ მომავალი ოლიმპიადა ახალ სპორტულ სიმაღლეებს დაიპყრობს, ახალ, კიდევ უფრო კაშკაშა ტალანტებს გამოავლენს და უფრო მდიდარ შთაბეჭდილებებს მოგვიტანს. ასეთია თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ძველი, მაგრამ მუდამ ახალგაზრდა ტრადიცია.

* * *

**სურათებზე:** XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშების საზეიმო დახურვის მომენტები. ზემოდან — სტადიონზე მედროშეები შემოდიან; ოლიმპიური ალმის გატანა; სტადიონის თავზე მარჯვნიდან მარცხნივ გადაიშალა სინთეტიკური „ცისარტყელა".

(მიუნხენიდან ფოტოდეპეშით მიიღო საქინფორმმა).

# უფროსი მწვრთნელის აზრით

ვინ იცის, გახდებოდა თუ არა ძიუდო ოლიმპიური დისციპლინა, 1964 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ტოკიოს რომ არ ემასპინძლა? იაპონიამ ამ 8 წლის წინ კბილებით გაიტანა ეს კანდიდატურა, დღეს კი ძიუდოს მთელს დედამიწაზე ჭიდაობენ. მაგრამ ძიუდო თავისი სულითა და ბუნებით აზიის პირმშოა. ამიტომაც დიდხანს იგი ამ კონტინენტის პრივილეგია იყო. „ძველმა სამყარომ" ეს სახეობა გაცილებით გვიან მიიღო, თუმცა სულ მალე შეითვისა და შეისისხლხორცა.

მიუნხენში დავა აზიასა და ევროპას შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადაწყდა. ევროპელებმა მიიღეს ოქროს 3, ვერცხლის 4 და ბრინჯაოს 9 მედალი, აზიის ქვეყნებმა კი შესაბამისად 3, 2 და 2 (ერთი ბრინჯაოს ჯილდო ბრაზილიაში გაემგზავრა).

აი, როგორ განაწილდა მედლები ოლიმპიადაში მონაწილე ქვეყნებს შორის:

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|
| იაპონია | 3 | — | 1 |
| სსრ კავშირი | 1 | 1 | 2 |
| ჰოლანდია | 2 | — | — |
| ინგლისი | — | 1 | 2 |
| გფრ | — | 1 | 1 |
| პოლონეთი | — | 1 | — |
| მონღოლეთი | — | 1 | — |
| სამხრ. კორეა | — | 1 | — |
| საფრანგეთი | — | — | 3 |
| გდრ | — | — | 1 |
| კსდრ | — | — | 1 |
| ბრაზილია | — | — | 1 |

შევახსენებთ, რომ 1964 წლის ოლიმპიადაში (მეხიკოში ძიუდოისტთა ოლიმპიური ტურნირი არ ჩატარებულა) იაპონელებმა ოქროს 3 და ვერცხლის 1 მედალი მიიღეს, საბჭოთა სპორტსმენებმა კი მხოლოდ 4 ბრინჯაო (მაშინ ასპარეზობა ოთხ წონით კატეგორიაში გაიმართა).

ოლიმპიური ტურნირის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვ. ანდრეევმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ათლეტების გამოსვლას. აი, რა განუცხადა მან კორესპონდენტებს:

— პირველი ჩვენს გუნდში, რა თქმა უნდა, შოთა ჩოჩიშვილი იყო. 22 წლის ათლეტი ოლიმპიადამდე იშვიათად მონაწილეობდა საერთაშორისო ტურნირებში, მიუნხენში კი მან თავისი უბადლო ოსტატობა დაამტკიცა. შოთა მსოფლიოს ყველა ძიუდოისტისგან განსხვავდება ილეთების მრავალფეროვნებით. ყოველ შეხვედრაში იგი ახალს ეძებს და მეტოქეს პირდაპირ შიგ დღეს აყრის. ჩოჩიშვილი ოლიმპიური სარბიელის ნამდვილი აღმოჩენა იყო. ამას, სხვათა შორის, ერთხმად აღნიშნავენ უცხოელი სპეციალისტებიც.

ვიტალი კუზნეცოვის ვერცხლიც აბსოლუტურ კატეგორიაში უდავოდ დიდი წარმატებაა. სხვას რომ თავი დავანებოთ, მან ერთხელ ხომ მოუგო მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს, ჰოლანდიელ რიუსკას? ვფიქრობ, ეს გამარჯვება ატესტაციას არ საჭიროებს.

გივი ონაშვილის ბრინჯაო ჩვენ დაგეგმილი გვქონდა. გივიმ თითქოს ყველაფერი იცის, კარგადაცაა დაუფლებული ტექნიკას. მაგრამ მას ნებისყოფის სიმტკიცე არ ჰყოფნის, ისეთი მებრძოლი არ არის, როგორიც არიან კუზნეცოვი ან გურამ გოგოლაური.

ანატოლი ნოვიკოვს, სულ ცოტა, ვერცხლზე შეეძლო ფიქრი, მაგრამ ნახევარფინალში ბედმა უმტყუნა.

გურამ გოგოლაური? იგი ძალიან ღონიერია და მუდამ ვაჟკაცურად ჭიდაობს, მაგრამ ოლიმპიური სარბიელისთვის ეს უკმარია. ზოგჯერ გოგოლაურს აზარტი ღუპავს, ზოგჯერ — მეტისმეტი გაბედულობა და რისკი. მაგრამ მისი მთავარი ნაკლი ტექნიკური არსენალის სიღარიბეა. გურამი მიზანსწრაფი სპორტსმენია, ეს კი იმედს მაძლევს ვიფიქრო, რომ იგი სულ მალე გახდება ძიუდოს დიდოსტატი და საწადელსაც შეასრულებს, — თქვა ბოლოს უფროსმა მწვრთნელმა.

ზ. ჯაფარიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
მიუნხენი, 10 სექტემბერი.

# ოლიმპიური მოზაიკა

როცა მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე მარათონული რბენის ლიდერი, ამერიკელი ფ. შორტერი გამოჩნდა, მის პატივსაცემად ფანფარები დაუკრეს. სტადიონის ტაშის გრიალში ამერიკელმა, რომელსაც მაისურზე 72-ე ნომერი ეწერა, სარბენ ბილიკზე წრე გაირბინა, მაგრამ მოულოდნელად მას პოლიციელები დაედევნენ. თურმე 72-ე ნომრით ტრიბუნების გაწვრივ შორტერი კი არ მირბოდა, არამედ ვიღაც სპორტსმენი, რომელმაც გადაწყვიტა პოლიციელებსა და მსაჯთა კოლეგიას გაქცეოდა. ნალე სტადიონზე ნამდვილი შორტერი გამოჩნდა.

ოლიმპიადის ყველაზე ხანდაზმული მონაწილე გახლდათ ინგლისელი ჰილდა ჯონსტონი, რომელიც მსოფლიოს უძლიერესი 12 ცხენოსნის რიცხვში შევიდა. ამ ინგლისელ ქალბატონს 4 სექტემბერს 70 წელი შეუსრულდა.

მარათონული რბენის ტრასაზე სპორტსმენებს ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველად ემსახურებოდნენ ელექტრომობილები. ეს იმიტომ, რომ მორბენლებს ძრავიდან გამონაბოლქვილი გაზით არ ესუნთქათ და მაინც რამდენიმე სპორტსმენმა დისტანცია ვერ დაამთავრა. განსაკუთრებით ძნელი იყო ეს იმ ორი მძლეოსნისთვის, რომლებმაც 42 კმ და 140 მ გაირბინეს და შემდეგ გული წაუვიდათ (ფინიშამდე 55 მეტრი იყო დარჩენილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიუნჰენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

## ჩემპიონები




ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: XX ოლიმპიადის ჩემპიონი — სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრები. პირველ რიგში (მარცხნიდან): მ. პაულაუსკასი, მ. ქორქია, ზ. საკანდელიძე, ი. ედეშკო, ს. ბელოვი; დგანან: ა. ჟარმუხამედოვი, გ. ვოლნოვი, ა. პოლივოდა, ს კოვალენკო, ა. ბელოვი, ი. დვორნი, ა. ბოლოშევი; ტანდემებით სპრინტში გამარჯვებული საბჭოთა ველოსიპედისტები ვლადიმერ სემენეცი (მარცხნივ) და იგორ ცელოვალნიკოვი ფინიშის შემდეგ.

საკდესის ტელეფოტოები.

### კალათბურთი

ნახევარფინალები. სსრ კავშირი — კუბა 67:61, აშშ — იტალია 68:38.

ფინალები. მატჩი III ადგილისთვის: კუბა — იტალია 66:65; მატჩი I ადგილისთვის: სსრ კავშირი — აშშ 51:50.

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 9 | 9 | 0 | 757—590 | 9 |
| აშშ | 9 | 8 | 1 | 660—399 | 8 |
| კუბა | 9 | 7 | 2 | 685—577 | 7 |
| იტალია | 9 | 5 | 4 | 549—605 | 5 |

### 9 სექტემბერი

მძლეოსნობა. 1500 მეტრზე რბენა. ქალები.

1. ლ. ბრაგინა (სსრ კავშირი) — 4.01,37 (მსოფლიო რეკორდი. ცხრილში შევა 4.01,4); 2. გ. ჰოფმაისტერი (გდრ) — 4.02,8; 3. პ. პინიი (იტალია) — 4.02,9.

ბირთვის კვრა. ვაჟები.

1. ვ. კომარი (პოლონეთი)—21,18 მ (ოლიმპიური რეკორდი), 2. ჯ. ვუდსი (აშშ) — 21,17; 3. ჰ. ბრიზენიკი (გდრ) — 21,14.

სიგრძეზე ხტომა. ვაჟები.

1. რ. უილიამსი (აშშ) — 824 სმ; 2. ჰ. ბაუმგარტნერი (გფრ) — 818; 3. ა. რობინსონი (აშშ) — 803.

### 10 სექტემბერი

4X400 მეტრზე ესტაფეტა. ვაჟები.

1. კენია — 2.59,8; 2. დიდი ბრიტანეთი — 3.00,5; 3. საფრანგეთი — 3.00,7.

4X400 მეტრზე ესტაფეტა. ქალები.

1. გდრ — 3.22,9 (მსოფლიო რეკორდი); 2. აშშ — 3.25,2; 3. გფრ — 3.26,5.

მარათონული რბენა.

1. ფ. შორტერი (აშშ)—2:12.19,7; 2. კ. ლისმონტი (ბელგია) — 2:14.31,8; 3. მ. ვოლდე (ეთიოპია) — 2:15.08,4.

### 11 სექტემბერი

საცხენოსნო სპორტი. წინაღობათა გადალახვა. გუნდური შეჯიბრება.

1. გფრ — 32 საჯარიმო ქულა; 2. აშშ — 32,25; 3. იტალია — 48; 4. დიდი ბრიტანეთი — 51; 5. შვეიცარია — 61,25; 6. კანადა — 64.

საბჭოთა ნაკრები მეორე წრეში აღარ გამოსულა და საბოლოოდ XIV ადგილზე გავიდა — 127,25 საჯარიმო ქულა.

## ოლიმპიადა... სამოტოციკლო

ზვინდლერუვ-მლინი, 12 სექტემბერი. მიუნჰენის ოლიმპიური თამაშები დამთავრდა თუ არა, ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში სტარტი აიღო კიდევ ერთმა ოლიმპიადამ — სამოტოციკლომ. ექვსი დღის განმავლობაში 18 ქვეყნის 379 მრბოლელი შეჯიბრების მთავარი პრიზისთვის — „საერთაშორისო ნადავლისთვის" იბრძოლებს.

ტურნირის ფორმულა ასეთია: სამი კლასის მანქანებით გამოდიან ექვსკაციანი გუნდები, ოღონდ მოტოციკლები სამამულო ქარხნებისა უნდა იყოს.

გათამაშდება, აგრეთვე, ჯილდოები „ვერცხლის ვაზა", „საქარხნო პრიზი", „საკლუბო პრიზი", ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

ექვსდღიანი რბოლის მონაწილეებს გასავლელი აქვთ ერთობ რთული ტრასა, რომლის სიგრძე თითქმის 2000 კილომეტრია.

პირველი დღის შემდეგ, როცა უკან დარჩა 323-კილომეტრიანი მარშრუტი, „საერთაშორისო ნადავლის" გათამაშებაში უჯარიმოდ არიან სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, გფრ-ის, იტალიისა და აშშ-ს გუნდები.

დროის საკონტროლო პუნქტებზე დაგვიანებისთვის ან კოლექტივიდან გამოთიშული მრბოლელების გამო საჯარიმო ქულები დაერიცხათ პოლონეთის, ფინეთის, დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიის, შვედეთის, შვეიცარიისა და ესპანეთის გუნდებს.

პირველი ეტაპის შემდეგ ტრასა სულ 35 მრბოლელმა მიატოვა.

სამოტოციკლო ოლიმპიადა 16 სექტემბერს დამთავრდება.

## გაცრუებული იმედები
## სპიცის იდეალი ფიშერია

1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიადაში სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი ოთარ ქორქია იყო. მაშინ საბჭოთა სპორტსმენების დებიუტი ოლიმპიურ სარბიელზე ვერცხლის მედლებით აღინიშნა. გავიდა ზუსტად 20 წელი და სსრ კავშირის ნაკრები ბოლოს და ბოლოს ოქროს ლაურეატი გახდა. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა ოთარ ქორქიას ძმისშვილი მიხეილი. ამ არც თუ ისეთ მოულოდნელ დამთხვევაში ნათლად გამოვლინდა ეგრეთ წოდებული მემკვიდრეობის კანონი. ოღონდ ახალგაზრდა თაობა უფრო წინ წავიდა.

20 წლის მანძილზე იბრძოდა საბჭოთა კალათბურთი იმ ადგილისთვის, რომელიც მან მიუნჰენში დაიკავა. 20 წელი კბილებით ეკავა ჰეგემონია ოლიმპიადების უცვლელ ჩემპიონს — ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს, მაგრამ მეორე ათეული წლის მიწურულს დათმო იგი. ესეც ალბათ კანონზომიერებაა, მით უმეტეს, რომ სპორტს ხანდაზმული მონარქები არ უყვარს.

... ფინალური მატჩის შემდეგ აშშ-ს ეროვნული გუნდის უცვლელი მწვრთნელი ჰენკ აიბა ძლივს მივიდა სხდომათა დარბაზამდე, სადაც პრეს-კონფერენცია იყო დანიშნული.

— საბჭოთა კალათბურთელები თამაშობდნენ იმ ერთადერთი ტაქტიკით, რომლითაც შეიძლებოდა ჩვენი დამარცხება, — თქვა დაღლილმა დაქანცულმა აიბამ.

— შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ მიუნჰენში ამერიკის საუკეთესო ნაკრები გამოდიოდა?

— ყოველ შემთხვევაში, უკეთეს გუნდს მოყვარულთა შორის დღეს ჩემს ქვეყანაში მე ვერ ვხედავ.

— დღევანდელი ნაკრებია უფრო ძლიერი, თუ ის, რომელმაც ოქროს მედლები მოიპოვა მეხიკოში?

— რა თქმა უნდა, დღევანდელი.

ამერიკული კალათბურთის მთავარი სპეციალისტი გულისტკივილით აღნიშნავდა კატასტროფის ფაქტს, რომელმაც მთელი სამყაროს თვალში შეარყია ათეული წლების მანძილზე შექმნილი ავტორიტეტი.

ამერიკელებმა უარი თქვეს ვერცხლის მედლების მიღებაზე. ისინი ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ბოლო სამ წამში მსაჯებმა საბედისწერო შეცდომა დაუშვეს. მაგრამ განა ეს არგუმენტია?! ნუთუ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, რომ 39 წუთისა და 57 წამის მანძილზე ძველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვერც ერთხელ ვერ შეძლო დაწინაურება?

როგორც ცნობილია, ამერიკელთა პროტესტი გულდასმით განიხილა კომპეტენტურმა ორგანომ და უსაფუძვლოდ მიიჩნია იგი. გარდა ამისა, თამაშს ხომ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი უ. ჯონსი ესწრებოდა და მატჩის იმ მწვავე ფინალის დროს ყველა გააფრთხილა, 3 წამია დარჩენილიო.

ახლა ყველაზე მეტად გაურკვეველია ამერიკის ოლიმპიური გუნდის შემდგომი ბედი. პროფესიულ კალათბურთს უყვარს ტიტულები. იგი ხალისით იღებს თავის რიგებში ოლიმპიურ ჩემპიონებს, ვინაიდან ამას სახელი და შემოსავალი მოაქვს. დამარცხებულები კი არავის უნდა და ყველაზე მეტად — პროფესიონალებს. ოთხ წელიწადს კი დღევანდელი ოლიმპიელები ვერ დაიცდიან, მით უმეტეს, რომ დღესდღეობით აუცილებლობის ვანში არავითარი საფუძველი არ ჩანს. არადა, ამერიკელმა სპორტსმენმა თავად უნდა იზრუნოს მომავალზე, თვითონ უნდა შეიქმნას ცხოვრება.

ამ მხრივ საგულისხმოა მიუნჰენის ოლიმპიადის ჭეშმარიტი გმირის, შვიდგზის ოლიმპიური ჩემპიონის მარკ სპიტცის ინტერვიუ „აბენდ ცაიტუნგის" კორესპონდენტთან. მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მოცურავემ გულწრფელად განაცხადა, რომ სპორტს იგი სერიოზულად, საქმიანად ეკიდება. მისი იდეალი რობერტ ფიშერია და სურვილი აქვს ფიშერისებურად იმოქმედოს. „ოლიმპიადის შემდეგ,—განაცხადა სპიტცმა, — თავს დავანებებ ცურვას. სპორტი ადამიანმა დიდების მწვერვალზე უნდა მიატოვოს. უკვე საკმაოდ დამიგროვდა საინტერესო წინადადებები, რომელიმეს უთუოდ მივიღებ. თუ ჰოლივუდში ხელსაყრელი პირობები იქნა, შესაძლოა შემდგომი კარიერა მთლიანად კინოს დავუკავშირო"

სპიტცს, როგორც ხედავთ, თავი ქუდში აქვს. ამერიკელი კალათბურთელები კი ნაღდად კარგავენ პროფესიონალებში გადასვლის შანსს. იქნებ სწორედ ესაა მათი გამწარების მიზეზი?

ნ. ბუბუშვილი.



მალმე, 11 სექტემბერი. მიუნჰენის XX ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა, შვედმა ბადროს მტყორცნელმა რ. ბრუხმა აქ გამართულ შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 68,58 მ.

● ერევანი, 11 სექტემბერი. დღეს აქ სტარტი აიღო პარაშუტისტთა XVIII საკავშირო ჩემპიონატმა, რომელშიც დაახლოებით 100 მამაცი სპორტსმენი მონაწილეობს. პირველ დღეს გაიმართა შეჯიბრება 2000 მეტრიდან ერთეულთა ჯოვნით ხტომაში. ამგვარი ნახტომი ყოველმა მონაწილემ სამჯერ უნდა შეასრულოს. პირველი ორი ნახტომის შემდეგ ქალთა შორის დაწინაურდა გუნდურ ჩათვლაში მსოფლიო ჩემპიონი ვ. ზაკორეცკაია (შეიარაღებული ძალები). ვაჟებში ლიდერობა ხელთ იგდო დოსააფის წარმომადგენელმა, სსრ კავშირის ნაკრების წევრმა, მსოფლიო ჩემპიონმა ვ. გურნიმ. 12 სექტემბერს პირველი ჩემპიონები გამოვლინდებიან. შეჯიბრებას კუბელი სპორტსმენები ესწრებიან.

### ✦ ზესტაფონი

„კოლმეურნის" რაიონულმა საბჭომ და განათლების განყოფილებამ ჩაატარეს სოფლის რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრება მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. სტარტზე 250-ზე მეტი გოგონა და ჭაბუკი გამოვიდა. საუკეთესო შედეგებისთვის სკოლები და ცალკეული მონაწილეები „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს დიპლომებით დაჯილდოვდნენ. მოწინავეთა შორის იყვნენ მეორე სვირის მე-2, პირველი სვირისა და არგვეთის საშუალო სკოლების მოსწავლეები.

პ. ნებიერიძე.

## ფეხბურთი-72

სსრ კავშირის პირველობა

# ბევრი მომენტიდან — მხოლოდ ორი

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 11 სექტემბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 2:0 (0:0).

„ტორპედო": კავაზაშვილი, მაზიაშვილი, პეტროვი, მირონოვი, ფრიდმანი, ოქროპირაშვილი, ლენიოვი, ამბარცუმიანი (ჭოლაძე), ფესტვენიძე, ხერხაძე, ჯ. სილაგაძე (ვეკუა).

„ნისტრუ": იარჩუკი, ტაბაჩუკი, ვოლოშნიხი, რიბაკი, ვიჩ. კუცევი, ნადეინი, ტესლოვი, ვლ. კუცევი, მიხაილოვი, სტროგანოვი, ვიდივანცევი.

მსაჯი ვ. ლუშინი (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:0.

კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან" დასანანი წაგების შემდეგ „ტორპედომ" ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო, მათ შორის, ორი — სტუმრად და საგრძნობლად დაუახლოვდა ლიდერებს. გუნდის ქომაგები დღევანდელ შეხვედრაში „ტორპედოს" იოლ გამარჯვებას მოელოდნენ, მაგრამ „ნისტრუ", რომელიც ცდილობს თავი დააღწიოს აუტსაიდერთა საშიშ ზონას, ყოველ ღონეს ხმარობდა თუნდაც ქულის ასაღებად და... უხეშ თამაშსაც არ ერიდებოდა.

სტუმრების თავგანწირული თამაშის მიუხედავად, მათ კართან ბევრი საგოლე მომენტი შეიქმნა. მე-16 წუთზე „ნისტრუს" კარის აღების შესაძლებლობა მიეცა მეკარის პირისპირ გასულ ოქროპირაშვილს. მე-20 წუთამდე „ნისტრუს" კარი კიდევ ორჯერ გადარჩა გოლს: ჯერ მცველებმა დაასწრეს სილაგაძეს, როცა იგი კარგ პოზიციაში აღმოჩნდა, მერე კი ხერხაძემ ბურთი მიზანს ააცდინა. 24-ე წუთზე იარჩუკმა მაზიაშვილის ძლიერი ბურთი მოიგერია, შემდეგ კი ლენიოვის ბურთსაც ოსტატურად დაეუფლა.

შესვენების შემდეგ „ტორპედოს" უპირატესობა უფრო გამოიკვეთა. როგორც ყოველთვის, მთელს მინდორზე აქტიურად მოქმედებდა ლენიოვი, რომელიც განუწყვეტლივ ამარაგებდა ბურთით პარტნიორებს. თავდასხმაში მცველთაგან ხშირად ვხედავდით მაზიაშვილს. 61-ე წუთზე მაზიაშვილის ჩაწოდების შემდეგ ჭოლაძემ შეუჩერებლად დაარტყა კარში, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. სტუმრების მცველებზე ადრე მასთან გაჩნდა ოქროპირაშვილი და ანგარიშიც გაიხსნა. 10 წუთიც არ იყო გასული, რომ ლენიოვის მიწოდება კარგად გამოიყენა ფესტვენიძემ. მან თავური დარტყმით მეორე ბურთი გაიტანა სტუმრების კარში.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

• • •



სურათზე: სახიფათო მომენტი „ნისტრუს" კართან. იარჩუკი ბურთს ეუფლება.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

## I ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქორი" | 28 | 17 | 6 | 5 | 48—22 | 40 |
| „შახტ." (დ.) | 28 | 13 | 11 | 4 | 40—14 | 37 |
| „ჩერნომორ." | 28 | 15 | 7 | 6 | 52—28 | 37 |
| „ტორპედო" | 28 | 16 | 4 | 8 | 39—20 | 36 |
| „შინიკი" | 28 | 13 | 8 | 7 | 32—24 | 34 |
| „ზვეზდა" | 29 | 12 | 10 | 7 | 33—28 | 34 |
| „კრ. სოვეტ." | 28 | 8 | 15 | 5 | 32—26 | 31 |
| „სპარტაკი" | 28 | 10 | 9 | 9 | 32—33 | 29 |
| „პამირი" | 28 | 10 | 9 | 9 | 34—36 | 29 |
| „შახტ." (ყ.) | 29 | 9 | 10 | 10 | 30—37 | 28 |
| „ალგა" | 29 | 8 | 11 | 10 | 30—28 | 27 |
| „ტექსტილ." | 28 | 9 | 9 | 10 | 28—36 | 27 |
| „სტროიტ." | 29 | 9 | 8 | 12 | 30—44 | 26 |
| „ავტომობ." | 28 | 7 | 11 | 10 | 22—31 | 25 |
| „მეტალურ." | 28 | 8 | 7 | 13 | 34—38 | 23 |
| „მეტალისტ." | 28 | 7 | 9 | 12 | 24—30 | 23 |
| „ნისტრუ" | 28 | 7 | 9 | 12 | 27—34 | 23 |
| „კრივბასი" | 28 | 5 | 9 | 14 | 33—43 | 19 |
| „დინამო" | 28 | 5 | 9 | 14 | 19—40 | 19 |
| „ურალმაში" | 28 | 4 | 9 | 15 | 23—44 | 17 |

### ახალ ამბები

დონეცკში ადგილობრივმა „შახტიორმა" დაამარცხა „ჩერნომორეცი" — 2:1. მეშახტეთა მიერ გატანილი გოლი სტუმრებმა უსწოროდ მიიჩნიეს და მთელ ხუთ წუთს დაობდნენ. ოდესელთა კაპიტანი ზუბკოვი მინდვრიდან გუნდის გაყვანასაც კი ეცადა...

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 1:0, „შახტიორი" (ყარაგანდა) — „დინამო" (ლენინგრადი) 1:0, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 4:1, „ზვეზდა" (პერმი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 0:1, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „პამირი" (დუშანბე) 2:1, „ალგა" (ფრუნზე) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 2:1, „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) — „კრივბასი" (კრივოი როგი) 1:0, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 3:1.

## II ლიგა III ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 27 | 16 | 8 | 3 | 44—12 | 40 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 26 | 14 | 9 | 3 | 45—21 | 37 |
| „დინამო" (ბათუმი) | 27 | 12 | 11 | 4 | 42—27 | 35 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 27 | 15 | 4 | 8 | 35—28 | 34 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 26 | 12 | 7 | 7 | 36—23 | 31 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 27 | 11 | 9 | 7 | 38—26 | 31 |
| „მაშინოსტროიტელი" (პოდოლ.) | 27 | 12 | 6 | 9 | 29—24 | 30 |
| „დილა" (გორი) | 28 | 9 | 10 | 9 | 27—26 | 28 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 28 | 9 | 10 | 9 | 27—32 | 28 |
| „ზვეზდა" (ტირასპოლი) | 26 | 11 | 5 | 10 | 24—21 | 27 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 26 | 11 | 5 | 10 | 35—36 | 27 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 27 | 9 | 7 | 11 | 27—31 | 25 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 26 | 9 | 6 | 11 | 32—31 | 24 |
| „დინამო" (სოხუმი) | 26 | 7 | 8 | 11 | 27—38 | 22 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 27 | 6 | 9 | 12 | 27—39 | 21 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 27 | 7 | 6 | 14 | 30—43 | 20 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 28 | 6 | 8 | 14 | 22—37 | 20 |
| „შრომითი რეზერვები" (კურსკი) | 28 | 7 | 3 | 18 | 27—61 | 17 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 28 | 2 | 11 | 15 | 23—41 | 15 |

# „თავდაცვაც შეგვიძლია, თავდასხმაც"

„ლელოს" ინტერვიუ



„ტვენტეს" მწვრთნელი ბ-ნი ენტონი კონი წარსულში ცნობილი ფეხბურთელია, 25-ჯერ უთამაშია ლუქსემბურგის ნაკრებში ცენტრალური თავდამსხმელის ადგილზე. გუშინ იგი ჩვენს კორესპონდენტებს ესაუბრა. ვბეჭდავთ ამ ინტერვიუს (პრესაში, მათ შორის, „ლელოს" წინა ნომერში „ტვენტეს" მწვრთნელად დასახელებული იყო რიივერსი. ეს სპეციალისტი ე. კონთან ერთად მართლაც ავარჯიშებდა „ტვენტეს", მაგრამ წლეულს მან „ფშვ ეინდჰოვენის" მწვრთნელად დაიწყო მუშაობა).

● პრესიდან ვიცით, რომ „ტვენტეს" ვარსკვლავები არა ჰყავს. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში იგი მუდამ მესამე ადგილზე გადის და მხოლოდ „აიაქსსა" და „ფეიენოორდს" უთმობს ლიდერობას. რით აიხსნება „ტვენტეს" ასეთი შედეგები?

— „აიაქსი" და „ფეიენოორდი" უმდიდრესი კლუბებია. ფული ბევრი აქვთ და პრობლემაც სათანადოდ ნაკლები, ვინაიდან კარგი მოთამაშეების მიწვევა მათთვის ძნელი საქმე არ გახლავთ. „ტვენტეს" ასეთი შესაძლებლობები არ გააჩნია, ამიტომ ჩვენ სხვა ხერხს მივმართეთ: გავიჩინეთ ბევრი „ჯაშუში", რომლებიც რეგულარულად გვატყობინებენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ნანახ ახალგაზრდა მოთამაშეებზე, რომელთა სახელი არავინ იცის. ასეთი მოთამაშეები ფულს დახარბებული არ არიან და სიამოვნებით მოდიან ჩვენს კლუბში. უმეტესობა 16-17 წლისაა. კლუბთან დავაარსეთ საფეხბურთო სკოლაც, — ნიჭიერი ახალგაზრდების აღზრდას ვცდილობთ. რაც შეეხება „ტვენტეს" შედეგებს, ეს მისმა დიდმა ბრძოლისუნარიანობამ განაპირობა. ყველა ცდილობს მაქსიმალურად იბრძოლოს, ტაქტიკური ალღოც აქვთ და ჩვენი გუნდი უვარსკვლავებოდაც საკმაოდ შედეგიანად თამაშობს.

● რადგანაც საუბარი ვარსკვლავებს შეეხო, ძალიან გვაინტერესებს თქვენი აზრი „ტვენტეს" მოთამაშეებზე. ნუთუ მართლაც არავინ არის ვარსკვლავი?

— ჩვენი გუნდი ტოლფასოვანი მოთამაშეებისგან შედგება. გვყავს ნაკრების წევრი — თავდამსხმელი პალპლაცი. მეკარე შრაივერსი და მცველი დროსტი ასევე ნაკრებში არიან მიწვეული, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე სხედან. გუნდის შედარებით ძლიერ რგოლად მიმაჩნია დაცვა, თუმცა იგი სხვა რგოლებისგან დიდად არ განსხვავდება. დაცვაში თამაშობს გუნდის ყველაზე „ხნიერი" მოთამაშე — 29 წლის დე ფრისი. დანარჩენები ახალგაზრდები არიან, ხოლო ყველაზე უმცროსები გახლავთ 19 წლის ტყუპები რენე და ვილი კერკჰოფები.

● არიან თუ არა თქვენს გუნდში უცხოელი ფეხბურთელები?

— იმპორტს ნაკლებად ვეტანებით. გუნდში მხოლოდ ერთი უცხოელი თამაშობს — იუგოსლაველი მისიჩი, მაგრამ ის სათადარიგო მეკარეა.

● თუ შეძლებდით უეფა-ს თასის წლევანდელი გათამაშების ფავორიტების დასახელებას და მიგაჩნიათ თუ არა „ტვენტე" იმ გუნდად, რომელსაც ამ ტურნირში წარმატება ძალუძს?

— ფავორიტების დასახელება ჯერ ადრეა. ისე კი, დაახლოებით 10 გუნდი ძალიან ძლიერია. რაც შეეხება „ტვენტეს" პერსპექტივებს, პირდაპირ უნდა გითხრათ: უიმედოდ რომ ვყოფილიყავით განწყობილი, ენსხედედან თბილისში არც ჩამოვიდოდით. ამ ასპარეზობის კანონი მარტივი და მკაცრია — გამარჯვებული შემდეგ ტურში გადის, დამარცხებული ბრძოლას ეთიშება.

● ასეთი მატჩების წინ, განსაკუთრებით სტუმრად, მწვრთნელთა დიდი უმრავლესობა მოთამაშეებს დაცვითი ფეხბურთის „რეცეპტებს" სთავაზობს. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან მეტოქის მინდორზე ფრე დიდი მიღწევაა ხოლმე. „ტვენტეც" ასე მოიქცევა?

— აბა რა გითხრათ! იქნებ არ დამიჯეროთ, მაგრამ ჩვენ შევუტევთ „დინამოს". ისე კი, წინასწარ რამის თქმა ძნელია. თავდაცვაც შეგვიძლია, თავდასხმაც, ჩემი ბიჭები თავად განსჯიან, რა ტაქტიკა აირჩიონ თამაშის მსვლელობაში. ამას მათ თვით მინდორზე შექმნილი ვითარება უკარნახებს.

● ვინმე თუ გყავთ ავად?

— სამწუხაროდ, უმაგისოდ ფეხბურთი არ არსებობს. ორი თავდამსხმელი — ნოტენი და რენე კერკჰოფი დაშავებული არიან.

● თითქმის ყოველ გუნდს ჰყავს სნაიპერი. ალბათ ასეთი „ტვენტეს" რიგებშიც არის.

— კრუიფის მსგავსი სნაიპერი არ გვყავს, კარში კი ყველა ურტყამს. შარშან სხვებზე ცოტა მეტი ბურთი პალპლაცმა გაიტანა, მაგრამ ამ მხრივ ჩვენს გუნდში არავინ გამოირჩევა. წლევანდელი სეზონის პირველ ხუთ ტურში ორ-ორი გოლი გაიტანეს იორინგმა და რენე კერკჰოფმა.

● ბოლო წლებში ჰოლანდიურმა ფეხბურთმა ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია საერთაშორისო სარბიელზე. რა არის ამის მიზეზი?

— თავი და თავი „აიაქსისა" და „ფეიენოორდის" წარმატებებია. ბევრს ჰგონია, რომ ამ ორ კლუბს უცხოელი მოთამაშეებით უდგია სული. ეს ასე არ გახლავთ. ჰოლანდიაში მართლაც ვისწავლეთ ფეხბურთის თამაში, რაშიც დიდი წვლილი შეაქვს მწვრთნელთა უმაღლეს სკოლას, სადაც კარგი სპეციალისტები იზრდებიან.

● ჰოლანდიის სანაკრებო თამაშების სეზონის... 

● თუ განიცდიან ჰოლანდიის კლუბები ინგლისური ან დასავლეთგერმანული ფეხბურთის გავლენას?

— უწინ ეს გავლენა ორივე მხრიდან იყო. ჰოლანდიის საუკეთესო კლუბები ახლა ტაქტიკური ალღოთი გამოირჩევიან, ამ მხრივ ისინი ბევრი ქვეყნის საუკეთესო კლუბებზე ძლიერი არიან. ჰოლანდიური ფეხბურთის მთავარი თავისებურება მოქნილი ტაქტიკაა.

● თუ საიდუმლოება არ არის, რა შემადგენლობით ითამაშებს „ტვენტე" თბილისში?

— თბილისელ გულშემატკივრებს არ ვიცნობთ, მაგრამ გვსმენია, რომ საბჭოთა კავშირში ერთობ სტუმართმოყვარე და სამართლიანი მაყურებელია. თბილისელები „ტვენტეს" შემადგენლობაში ნახავენ შრაივერსს, ვან ირსელს, დროსტს, დე ფრისს, ორანიენს, კერკჰოფს, ვან დერ ვალს, აჩტერბერგს. შესაძლოა ითამაშონ იორინგმა და პალპლაცმა.

საუბარი ჩაიწერეს ა. რონდელმა და გ. კოჭიაშვილმა.

• • •

სურათზე: ე. კონი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

● ბ-ნო ენტონ, როცა უეფა-ს ტურნირის კენჭისყრამ თქვენი გუნდის მეტოქედ თბილისის „დინამო" დაასახელა, რა იფიქრეთ?

— ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს. საბჭოთა კლუბებზე არავითარი წარმოდგენა არა მაქვს, მხოლოდ რამდენიმეჯერ მინახავს თქვენი ნაკრები.

● თქვენ ნახეთ თბილისელთა თამაში დასავლეთ ბერლინში „ჰერთასთან". რას იტყოდით „დინამოზე"?

— „დინამომ" კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ძლიერი გუნდია. თუმცა ამხანაგური შეხვედრის მიხედვით მომავალი მეტოქის შეფასება ძალიან სათუო ამბავია.

● ვინ მოგეწონათ თბილისელთა შორის?

— შესანიშნავად ითამაშა მეკარე გოგიამ. მომეწონა მაღალი ნახევარმცველი, რომელიც მე-15 ნომრით თამაშობდა. მგონი, ასათიანია. დაცვამაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ფიზიკურად ძლიერი მცველები გყავთ, ჰაერში კარგად თამაშობენ. თქვენი თავდამსხმელებიც ანგარიშგასაწევი ძალაა.

● ჰოლანდიის ჩემპიონატის პირველ ოთხ ტურში თქვენი გუნდის შედეგები ჩვენთვის ცნობილია. როგორ ითამაშეთ მეხუთე ტურში?

— თბილისში წამოსვლის წინ, პარასკევს ვითამაშეთ ფილიპსის კონცერნის გუნდთან „ფშვ ეინდჰოვენთან". მატჩი ენსხედეში ჩატარდა და გავიმარჯვეთ — 1:0. ჩვენმა ბიჭებმა კარგად ითამაშეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასე თამაშობდნენ ლელოს წინათ

ვფიქრობ დაუფარავად: ლელობურთელთა შეჯიბრებაზე ნამყოფი მაყურებელი თითქმის მუდამ გულნაკლული ბრუნდება შინ. იგი აშკარად გრძნობს, რომ ამ თამაშს აკლია ის სიდიადე, გრანდიოზულობა და პეწი, რითაც ცნობილი იყო წინათ.

მეც იმ გულნაკლულ მაყურებელთა რიცხვს მივეკუთვნი, და ჩემთვის საინტერესო მისიად მივიჩნიე მოვუთხრო მკითხველისთვის — როგორ თამაშობდნენ ლელოს წინათ. ამისთვის უპირველეს ყოვლისა გავჩხრიკე გასული საუკუნის თითქმის ყველა ჟურნალი და გაზეთი, რომელთა შორისაც ლელოს შესახებ მასალების სიუხვით გამოირჩევიან გაზეთები „დროება“ და „ივერია“. მაშ ასე:

ლელოს ჩატარების ადგილი და დრო. თამაში უმთავრესად დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში ტარდებოდა, მაგრამ თავის მხრივ მათაც გააჩნდათ თავისებური ცენტრები, სადაც ლელობურთის ჩატარება ეროვნული დღესასწაულის ხასიათს იღებდა. „დროება“ და „ივერია“ ხშირად იხსენიებენ ბათუმს, ფოთს, სენაკს, ზუგდიდს, ქულაშს, ყვირილას, ოფშკვითს, ბანძას, ხონს და კიდევ ბევრ დასახლებულ პუნქტს, სადაც „ბურთაობას დაიწყებენ თუ არა, დიდით პატარამდის სულ ერთად იმაში არიან გართულნი“ („დროება“, 1869 წ. № 25).

შეჯიბრება ლელობურთში სისტემატური ხასიათისა იყო. ქუთაისში, მაგალითად, „თითქმის ყოველ კვირაუქმე დღეობით ბურთის თამაში იმართება“ („დროება“, 1884 წ. № 222). ასევე აფხაზეთის ზოგიერთ სოფელში ბურთის სათამაშოდ „კვირაობით და უქმე დღეობით იკრიბებიან ყმაწვილები ვაკე მინდორზე ხშირ-ფოთლებიან ხეების ქვეშ“ („დროება“, 1885 წ. № 12). მაგრამ ცალკეულ ქალაქებსა თუ სოფლებს „კვირა-უქმე დღის“ გარდა ჰქონდათ წელიწადში ერთი დღე, როცა ლელობურთში შეჯიბრება ადგილობრივ ფარგლებს სცილდებოდა და თავისი მასშტაბურობით საყოველთაო ხასიათისა ხდებოდა. ასეთი დღეები იყო, მაგალითად, ფოთში 1 მაისი, ბათუმში აღდგომის კვირა, ესე იგი, კვირაცხოვლობა-დღე და ა. შ.

„დროების“ ცნობით, თბილისში მცხოვრები იმერელი და მეგრელი მუშების თაოსნობით ხშირად იმართებოდა ლელო „დიდუბეში, მუშტაიდს იქით“.

მონაწილენი. ფოთში გამართულ შეჯიბრებებში, როგორც წესი, ერთ მხარეზე იდგნენ მეგრელები, ხოლო მეორეზე — გურულები და იმერლები. 1886 წელს კვირაცხოვლობა დღეს მეგრელები და აფხაზები იმერლებსა და გურულებს ხვდებოდნენ. მაგრამ ზოგჯერ გუნდები იქმნებოდა სოციალური ნიშნის მიხედვითაც. მაგალითად, მინდორზე გამოდიოდა ბათუმელი მუშების გუნდი, ყვირილაში კი „ბურთის თამაშობაში მონაწილეობას მედუქნეები და ყველა ახლო-მახლო მდებარე სოფელთა მცხოვრებლებიც იღებენ“ („ივერია“, 1886 წ. № 130). ი. მეუნარგიასა და სხვა ავტორთა ცნობით, თამაშის დროს ხშირად ისპობოდა სოციალური ზღვარი და „თავადი, აზნაური და გლეხი ერთად იღებენ მონაწილეობას ბურთაობაში“ („დროება“, 1880 წ. № 90).

ზოგჯერ ქართველ მობურთავეთა შორის გამოჩნდებოდნენ ხოლმე ინგლისელი მეზღვაურებიც („ივერია“, 1894 წ. № 89). 1898 წლის 10 მაისის ცნობით კი ფოთში „გურულ-მეგრელებს გარდა ბურთს თამაშობდნენ: რუსებიც, თათრებიც, ბერძნებიც და იმერლებიც“. 1899 წლის კვირაცხოვლობაზე ბათუმში, როგორც „ივერია“ (№ 92) გვატყობინებს, მეგრელები და ხონელები იბრძოდნენ გურულების, თათრებისა და სომხების წინააღმდეგ.

მონაწილეთა შორის ფეხით მობურთალთა გარდა ცხენოსნებიც იყვნენ ხოლმე. „დაეხვივნენ ბურთს კაცნი, — ვკითხულობთ „დროების“ 1870 წლის მე-20 ნომერში, ბანძაში ჩატარებული შეჯიბრებების შესახებ, — ზოგნი ზევით ეწეოდნენ და ზოგნი ქვევით, მაგრამ ცხენოსნები ქვეითად მყოფთ კაცებს არ აცლიდნენ, იგინი გარ-ირევლივ ხუთ და ექვს პირად შემორტყმულნი და ცხენიდგან ეწოდებოდნენ ბურთსა, რომ ხელში ეგდოთ და მოეტაცნათ და მართლაც ერთმა ცხენოსანმა იგდო ხელთ ბურთი, გააფრინა ცხენი და მოიტაცა, დაედევნენ მას სხვა ცხენოსნები, მაგრამ სულ ტყუილათ, იმან გადაასწრო საზღვარსა და კიდევაც გაიტანა. იმოდენი ცხენოსნები იყვნენ, რომ ქვეითათ მყოფთა თითქმის თავი ანებეს თამაშსა, რადგან ეშინოდათ, რომ ცხენებს მათთვის ფეხი არ დაეჩქლიჯათ“.

მონაწილეთა რაოდენობა. დღეს, როგორც ცნობილია, ლელობურთელთა გუნდში მონაწილეთა რაოდენობა 15 კაცით განისაზღვრება (ფეხბურთის მინდვრის ზომა მეტის საშუალებას არ იძლევა), მაგრამ წინათ, ქართული პრესის ცნობით, რაოდენობა არ იზღუდებოდა.

„დროების“ 1882 წლის (№ 80) ცნობით, თბილისში ჩატარებულ ერთ-ერთ შეჯიბრებაში 200 კაცი მონაწილეობდა, „ივერიის“ 1899 წლის 5 მაისის ცნობით კი ფოთში გამართულ ბურთაობაზე მეგრელთა ჭარბ ძალებს „გურულების მხრივ სამოცდაათი კაცი აჩერებდა გმირულად“. 1900 წლის 1 მაისს ფოთში გამართულ ბურთაობაზე ერთ მხარეზე 130 იმერელი მუშა იბრძოდა.

სადამდე შეიძლებოდა გაზრდილიყო გუნდების წევრთა რიცხვი? საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ი. მეუნარგიას ცნობით („დროება“, 1882 წ. № 74), კულაშში თავადი მიქელაძეების თაოსნობით გამართულ ლელობურთში „1500 ქვეითი და 500 ცხენოსანი იღებდა მონაწილეობას... მჭვრეტელნი, რასაკვირველია, ათი ამდენი იქნებოდა“.

როგორც ზოგიერთი მასალიდან ჩანს, დასაშვები ყოფილა ძალების დაზოგვა, თამაშის დაწყებისას სარბიელზე გუნდის მონაწილეთა მხოლოდ ერთი ნაწილის გაშვება, ხოლო შემდეგ სხვა ძალების შემატებაც (შეუცვლელად). „მოხერხებული გურულები, — წერს „ივერია“ (1897 წ. № 87), — აქაც ხერხიანად მოიქცნენ: მობურთავენი ორ გუნდად განაწილდნენ; ჯერ პირველი მცირე რაზმი შეუშვეს საბურთაოდ, როცა ამათ მეგრელები შეეღალნენ, მაშინ მკვირცხლად შეუტია ახალმა ძალამ გურულებისამ და იერიშით ლელოზედ ბურთი მიიტანეს“.

ყოფილა შემთხვევა, როცა მეტოქე ძალების დიდი რაოდენობრივი სხვაობის გამო შეჯიბრება ჩაშლილა. ასე მომხდარა, მაგალითად, ფოთში 1890 წლის 1 მაისს, როცა „გურულ-იმერლები ცოტანი იყვნენ (სულ ოთხმოცი კაცი არ იქნებოდა), ხოლო მეგრელნი კი ექვსასამდე იყვნენ“.

თამაშის ხანგრძლივობა. დღეს ლელობურთი ორ 30-წუთიან ტაიმშია ჩაკეტილი. წინათ ლელობურთელებს ასე არ ზღუდავდნენ. თამაში ზოგჯერ ბურთის პირველი გატანისთანავე მთავრდებოდა, ზოგჯერ დაბინდებამდე გრძელდებოდა, ზოგჯერ კი მთვარის შუქზეც აგრძელებდნენ თამაშს. სცდებიან ის ავტორები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ შეჯიბრება ლელოში მხოლოდ ბურთის პირველ გატანამდე გრძელდებოდა (იხ. მაგალითად, ფიზკულტურისა და სპორტის ენციკლოპედიური ლექსიკონი. მოსკოვი. 1961 წ. გვ. 236). 1870 წლის 20 აპრილს, „დროების“ ცნობის მიხედვით, ბანძელ ლელობურთელთა შეჯიბრება დამთავრდა ანგარიშით 3:1. ასეთივე ანგარიშით დამთავრებულა შეჯიბრება თბილისში დიდუბის მინდორზე 1882 წლის 19 აპრილს (იხ. „დროება“, 1882 წ. № 80).

ბურთის პირველი გატანისას თამაში მთავრდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა შეხვედრა ჭიანურდებოდა და შედეგი არ ჩანდა. ალბათ ბურთის გატანის მოლოდინით იყო, რომ 1886 წლის აპრილში ბათუმში ლელობურთი ღამის 10 საათზე დამთავრდა, ამავე ქალაქში 1899 წელს კი „თამაშობამ მთელ სამს საათს გასტანა“.

ლელოზე არსებული ცნობების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ უმრავლეს შემთხვევაში შეჯიბრება 4-5 საათზე იწყებოდა და დაბინდებამდე გრძელდებოდა.

ბურთის ზომა. ლელოს ბურთი დღეს 2,5 კილოგრამს იწონის და გარშემოწერილობით 85-90 სანტიმეტრია. გასული საუკუნის ცნობებში აღწერილი ბურთი გაცილებით დიდია და მძიმე. „ეკლესიაში ახლავლის კარებთან დიდი წითელი ბურთი იდვა“, — წერს „დროება“ (1870 წ. № 20) ერთი მატჩის დაწყების შესახებ. მაინც რა ზომისა იყო ეს „დიდი წითელი“ ბურთი?

1897 წლის საპირველმაისო ბურთაობის დროს („ივერია“, 1897 წ. № 87) გურულ მობურთავეებს თავად ჯ. გურიელისგან მიუღიათ საჩუქრად ბურთი, რომელიც წონით 30 გირვანქა, ესე იგი, 12 კგ ყოფილა. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ასეთი ბურთი გამონაკლისი იყო, მაგრამ იმავე კორესპონდენციის ავტორი წერს, რომ თ-დ ჯ. გურიელისგან შესანიშნავი ბურთი მივიღეთ, ესე იგი, ამ წონის ბურთი ავტორის მოწონებას იმსახურებს, ამასთან, ამ ბურთით იმ დღეს შეჯიბრება გამართულა. ბურთის განსაკუთრებულ სიდიდეზე სხვადასხვა კორესპონდენტიც მიუთითებს. მაგალითად, 1899 წლის საპირველმაისო ზეიმის წინ ქალაქის ქუჩებში „დიდ უზარმაზარ ბურთს დაატარებდნენ სამი საათიდან ხუთის ნახევრამდი“.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბათუმში (და ალბათ სხვაგანაც) ლელოს ბურთების სახელოსნო თუ კერძო სავაჭროები არსებულა. სხვაგვარად ვერ ავხსნით „ივერიის“ 1890 წლის 12 მაისის 75-ე ნომერში მოთავსებულ შემდეგ ცნობას: „როცა პირველად გამოვარდა ბურთი, მოვიდა ბოქაული ყაზახებით და სთხოვა ხალხს, მე მომეცით ბურთი, უფრო შუა ალაგას ავაგდებო. ბურთი მისცეს. იმან ბურთი ყაზახებს გადასცა და პოლიციაში წაალებინა: ბურთის თამაშობა არ შეიძლება, აკრძალულიაო. ხალხმა სხვა ბურთი იყიდა და ახლა ის ააგდო“.

როგორც ვხედავთ, მონაწილეებმა მოკლე ხანში იყიდეს ბურთი, როგორც ჩანს, იქვე, მუდმივ სათამაშო ადგილის მახლობლად გახსნილ დუქანში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბურთზე საერთოდ დიდი მოთხოვნილება იქნებოდა, რადგანაც, როგორც „ივერიის“ ბევრი მასალიდან ჩანს, გამარჯვებული გუნდი ნაკუწ-ნაკუწად ჭრიდა ბურთს და ჯოხზე აცმული ნაჭრები გამოჰქონდა მინდვრიდან. ზოგჯერ, გარდუვალი დამარცხების თავიდან აცილების მიზნით, ზოგიერთი უდისციპლინო გუნდიც ჭრიდა ბურთს. ისე რომ, ხშირ შემთხვევაში ყოველ ახალ თამაშს ახალი ბურთი სჭირდებოდა.

მსაჯები. ლელობურთში მსაჯის როლი ძირითადად თამაშის დასაწყისში ჩანდა, იგი არჩევდა მაყუებს, აძლევდა რჩევა-დარიგებას მოთამაშეებს, შემოიტანდა ბურთს სათანადოდ შერჩეულ მინდორზე, ააგდებდა მას და ა. შ.

მსაჯებად, როგორც ძველი პრესის მასალებიდან ჩანს, ავტორიტეტულ პირებს ირჩევდნენ. სოფლად მსაჯის როლში ხშირად სამღვდელოების პირებს ვხედავდით. 1870 წლის მაისში ბანძაში ასე დაიწყო თამაში: მღვდელმა დაიძახა: „აბა, შვილებო, დაიხადეთ. ხალხმა ტანისამოსის ხდა დაიწყო. მოდით, შვილებო, და აქ შეინახეთ, უთხრა მღვდელმა“. შემდეგ ბურთით ხელში მღვდელმა ხალხთან ერთად სიმღერით შემოუარა ეკლესიას. შემდგომ ამისა, „მღვდელმა მეგრულს ენაზედ ორატორულათა სთქვა: დიდებულო წმინდაო გიორგი, შენ შეეწიე შენს მრევლს, შენ მიეცი ძალა და ღონე და შეძლება, შენ გაამარჯვებინე აწინდელს ბურთის თამაშში, და გადააგდო ბურთი“.

1897 წელს „ივერია“ (№ 95) წერდა, რომ „მღვდელმა ეს ბურთი დიდის ამბით შემოიტანა საყდრიდგან, წინ ბაირაღი მიუძღვის და მთელი ხალხი მას მისდევს უკან დიდად მხიარული“.

ზოგ ადგილზე მსაჯს თვით მაყურებლებიდან ირჩევდნენ. როგორც „ივერია“ (1899 წ. № 92) გვამცნობს, „კახაბერში... დიდძალი საზოგადოება შეიკრიბა, ზოგნი მოთამაშენი და ზოგნი კიდე მაყურებელი. დიდ უზარმაზარ ბურთს დაატარებდნენ სამი საათიდგან ხუთის ნახევრამდე და მაშინ გადასცეს ერთ კაცს, რომელმაც ეს ბურთი წაიღო და გადააგორა დანიშნულ ლელოს შუაგულზედ და თან დაიძახა: „არიქა, ყმაწვილებო, ვაშა, ვაშაო, ლელო დასავლეთით მეგრელებისა და ხონელებისაო და აღმოსავლეთით გურულებისა, თათრებისა და სომხებისაო“.

ზოგ შემთხვევაში მსაჯების როლში პოლიციის მოხელეებიც გამოდიან. ეს ჩანს „ივერიის“ 1890 წლის 4 მაისის ცნობაში, რომელიც გვაუწყებს, რომ ფოთში ჩატარებული შეჯიბრების წინ ბურთი მოედანზე შეიტანა და „ვააგდო“ პოლიციამ. საგულისხმოა ის ცნობაც, რომ 1890 წლის კვირაცხოვლობა დღეს, როდესაც მოედანზე შემოსულმა ბოქაულმა „სთხოვა ხალხს, მომეცით ბურთი, უფრო შუა ალაგას ავაგდებო“, ხალხმა ეს ჩვეულებრივ მოვლენად ჩათვალა და არ გაჰკვირვებია მსაჯის როლში ბოქაულის გამოსვლა.

დასასრულს, სამაგალითოდ მოვიყვანთ ორ ამონაწერს გასული საუკუნის გაზეთებიდან, რომლებიც კარგად გვიჩვენებენ, თუ რა აზარტითა და თავდავიწყებით ტარდებოდა შეჯიბრება ლელობურთში:

„დღეს, 1 მაისს სადილობამდინ დასეირნობდნენ ბაღში და ქუჩებში; შემდეგ სადილობისას შეიკრიბნენ პარკში და კიდეც გააგდეს ბურთი. ერთ მხარეს მეგრელობა და მეორე მხარეს გურულობა ცდილობდნენ ბურთის თავიანთთვის გატანას. მეგრელობა ძლიერ ბევრნი იყვნენ. იყო დიდი ჩოჩქოლი, ღრიალი, „ურა“ და „ჰარიჰა“. დიდი დავიდარაბისა, ყვირილისა და მეცადინეობის შემდეგ ბურთი გაიტანეს მეგრელებმა, თუმცა დიდხანს კი გაუძლეს გურულებმა... გახარებულმა მეგრელებმა უყვირეს გურულებს, შარმანდელი ჯალი გარდავიხადეთო“ („დროება“, 1882 წ. № 92).

„შეიქმნა ყიჟინი, ვაშას ძახილი და ბურთი გააქანეს პირველად მეგრელებმა, და ის იყო ლელოსთან უნდა მიეტანათ, ამ დროს გურულებმა იბრუნეს ბურთი თავიანთ ლელოსაკენ, მაგრამ ბურთი ისევ მეგრელებმა და ხონელებმა გაიტანეს. ამ დროს ბურთი გადავარდა პატარა მდინარეში, სადაც არშინის სიმაღლეზედ წყალი იდგა. თქვენც არ მომიკვდეთ, წყალმა არც ერთი მხარე არ შეაშინა. ჩაცვივდნენ შიგ; მთელი ერთი საათი ბურთი წყალში იყო, ბოლოს ისევ მეგრელებმა და ხონელებმა იგდეს ხელთ, გააქანეს თავიანთ ლელოსაკენ და მერე ზღვაში ჩააგდეს. თამაშმა მთელ სამ საათს გასტანა. მოთამაშენი სიმღერითა, ცეკვითა და დამბაჩების სროლით დაიშალნენ“ („დროება“, 1899 წ. № 92).

გასული საუკუნის ქართული პრესა კიდევ ბევრ სხვა ცნობას გვაწვდის ლელოს შესახებ, მაგრამ, ვფიქრობთ, მოტანილი მასალებიც კარგად წარმოგვიდგენს ამ ქართული ხალხური თამაშის ნამდვილ სახეს. მართალია, ლელობურთის დროს ზოგჯერ დამარცხების თავიდან აცილების მიზნით თამაშის პროცესში ბურთს სჭრიდნენ, აყალმაყალს სტეხდნენ და იარაღსაც ხმარობდნენ, მაგრამ საერთოდ ეს არ იყო დამახასიათებელი ჩვენი ლელობურთისთვის. იგი მუდამ წარმოადგენდა ვაჟკაცობის, მოქნილობის, სიმარჯვის, გამარჯვებისკენ სწრაფვისა და სხვა ძვირფასი თვისებების ზეიმს. ლელობურთი მუდამ წარმატებით ავსებდა ქართველთა ფიზიკური აღზრდის საშუალებების არსენალს.

დოცენტი ა. ციბაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიკური კულტურის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.



ამას წინათ თბილისში გაიმართა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. ამ სურათზე თქვენ ხედავთ პირად ჩათვლაში გამარჯვებულს — ესტონელ ს. შტორკს მძლეოსნურ კროსში ასპარეზობის დროს.

თ. გაჩეჩილაძის ფოტო.

# პროფესიონალები რევანშის წყურვილს შეუპყრია

ოტავა, 11 სექტემბერი. კანადა გასულ კვირას გამართული მატჩების სერიით გამოწვეული შთაბეჭდილებით ცხოვრობს. ალბათ გახსოვთ, რაოდენი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრების შეხვედრებმა ამ ქვეყნის საუკეთესო პროფესიონალებთან! რადიოთი და ტელევიზიით ყოველდღე იმართება მწვავე დისკუსიები, რომლებშიც სპორტის ამ სახეობის ბევრი მოყვარული მონაწილეობს. გაზეთების ფურცლებზე, აგრეთვე, ტელეეკრანზე გამოდიან ჰოკეის ავტორიტეტები. ისინი ცდილობენ ისეთი „რეცეპტების“ გამონახვას, კანადელებმა თავიანთ ყინულზე წაგების რევანში რომ აიღონ მოსკოვში.

კანადაში სპორტის საკორესპონდენტო პუნქტის ტელეფონს მოსვენება არა აქვს: გამუდმებით რეკავენ ადგილობრივი გულშემატკივრები, რომლებიც აქებენ საბჭოთა ჰოკეისტებს და ამ საინტერესო ტურნეში გამარჯვებას ულოცავენ. ყველაზე ხშირად ისინი მწვრთნელების ვ. ბობროვისა და ბ. კულაგინის, თავდამსხმელი ვ. ხარლამოვისა და, განსაკუთრებით, მეკარე ვ. ტრეტიაკის გვარებს ასახელებენ.

საქლესის კორესპონდენტთან საუბარში საბჭოთა ჰოკეისტებს ხოტბა შეასხეს პროფესიული ჰოკეის ისეთმა ვარსკვლავებმა, როგორიც არიან ბ. ჰალი და ბ. ორი, აგრეთვე, ამასწინანდელი თამაშების მონაწილე ბერგმანმა, კლარკმა, უაიტმა, სტეპლტონმა.

„კანადისა და სსრ კავშირის პირველმა ოფიციალურმა ორთაბრძოლამ მითის დამსხვრევა და კანადელთა მონოპოლიის დასასრული მოიტანა“, — წერს „ოტავა ჟორნელი“. მისი აზრით, რა კუთხიდანაც უნდა შეაფასო, ჩატარებული მატჩები, ისინი გაკვეთილია ყველა კანადელისთვის. „ჩვენ გვაჩვენეს გაცილებით ამაღელვებელი თამაში, ვიდრე ეს ჰოკეის ეროვნულ ლიგას ახასიათებს. ახლა კი რაც შეიძლება ბევრი ამგვარი შეხვედრას მოვითხოვთ“.

„ტორონტო სანი“ და სხვა გაზეთები აღნიშნავენ, რომ კანადის სტადიონების ყინულზე საბჭოთა გუნდმა პროფესიონალებს მოულოდნელად ჩაუტარა ბრწყინვალე ჰოკეის გაკვეთილი.

კანადის ნაკრების მეორე მწვრთნელმა ფერგიუსონმა განაცხადა, რომ პროფესიონალებმა საბჭოთა ჰოკეისტებისგან „ხუთეულებით“ თამაში უნდა გადმოიღონ.

კანადელთა მწვრთნელებმაც და ნაკრების წევრებმაც განაცხადეს, რომ მოსკოვის მატჩებამდე დარჩენილ დროს მაქსიმალური ინტენსიობით გამოიყენებენ, რათა საუკეთესოდ მოემზადონ სსრ კავშირის ნაკრებთან ახალი ორთაბრძოლებისთვის და რევანშის აღებას შეეცადონ.

საქჯელი მოკლეთხრობა

გასწორება

„ლელოს“ 9 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული მასალის — „მრჩეველია რაინდული ღირსების“ — ბოლოწინა სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: რსფსრ — 2988-2988... ნ. სა- და შემდეგ როგორც ტექსტშია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 10235